

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

პროექტის მიღების მიზეზია აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში 2006 წლის 1 იანვრიდან 2006 წლის 30 მაისამდე საკანდიდატო დისერტაციების დაცვის საფუძველზე მიღებული მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის დოქტორის აკადემიურ ხარისხთან გათანაბრება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია აკრედიტებულ უმაღლეს დაწესებულებაში 2006 წლის 1 იანვრიდან 2006 წლის 30 მაისამდე საკანდიდატო დისერტაციების დაცვის საფუძველზე მიღებული მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის დოქტორის აკადემიურ ხარისხთან გათანაბრებულად ცნობა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტი ითვალისწინებს აკრედიტებულ უმაღლეს დაწესებულებაში 2006 წლის 1 იანვრიდან 30 მაისამდე განხორციელებული სამეცნიერო დისერტაციების დაცვის შედეგად მინიჭებული მეცნიერებათა კანდიდატის დიპლომის მქონე პირთა გათანაბრებას დოქტორის აკადემიურ ხარისხთან, რომელთაც მეცნიერებათა კანდიდატის დიპლომი მოიპოვეს 2006 წლის 31

დეკემბრამდე უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისი სადისერტაციო საბჭოების შექმნის შემდგომ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2006 წლის 1 იანვრიდან 30 მაისამდე განხორციელდა დისერტაციების დაცვა საქართველოში სამცხიერო ხარისხის მინიჭების წესების შესახებ ინსტრუქციის (დამტკიცებული საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 28 ივნისის ბრძანებულებით) შესაბამისად და დისერტანტებს მიენიჭათ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხები.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-10 მინიჭებული მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის გათანაბრება დოქტორის აკადემიურ ხარისხთან ვერ ხერხდება, ვინაიდან აღნიშნული დისერტაციების დაცვის დროისთვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2006 წლის 1 იანვრიდან მიღებულ იქნა სადისერტაციო საბჭოს ახალი დებულება, თუმცა ძველი დებულების მოქმედება არ შეწყვეტილა და სადისერტაციო საბჭოც, რომელიც ახორციელებდა დაცვებს, არ გაუქმებულა. აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში მიმდინარე რეფორმების პირობებში, გარდამავალ ეტაპზე, რეალურად საქმიანობა არ ჰქონდა შეწყვეტილი სადისერტაციო საბჭოს, რომელიც ახორციელებდა მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მინიჭებას და პარალელურად იქმნებოდა ახალი სადისერტაციო საბჭო, რომლის შექმნამაც გამოიწვია დაცული საკანდიდატო დისერტაციების საფუძველზე გაცემული მეცნიერებათა კანდიდატის დიპლომების დოქტორის აკადემიურ ხარისხთან გათანაბრების საკითხში ხარვეზი.

აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების და კეთილსინდისიერი მეცნიერებათა კანდიდატების სამართლებრივი ინტერესის დაცვის მიზნით კანოპროექტის არსია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-10 ნაწილში შევიდეს ცვლილება და ამოღებულ იქნეს სიტყვები „ამ კანონის შესაბამისი სადისერტაციო საბჭოს შექმნამდე“.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ საჭიროებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გაელენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

ბ.გ) კანონპროექტის გაელენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ

პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება
კანონპროექტი არ იწვევს ფინანსურ ვალდებულებებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან
კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასამთავრობო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში კანონპროექტის შემუშავებაში ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში ექსპერტების დასკვნები არ არსებობს

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის წევრი ელგუჯა მაკარაძე.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრი ელგუჯა მაკარაძე.

